საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №147/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 21 დეკემბრის №147 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 12 თებერვლის №147/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ --, 2019 წელს მომხდარ ყაჩაღობაში ბრალდებული პირები -- -- სასამართლომ მიზანმიმართულად გაათავისუფლა წინასწარი პატიმრობიდან, პატიმრობის მაქსიმალური ვადის 9 (ცხრა) თვის გასვლის მოტივით. საჩივრის ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესი შეგნებულად იქნა გაჭიანურებული.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით, 2020 წლის 6 მაისს სისხლის სამართლის საქმე №-- ბრალდებულების - -- -- და -- -- მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- --.

საქმის არსებითი განხილვის ფარგლებში, 2020 წლის 7 მაისის სასამართლო სხდომაზე, მოსამართლე -- -- იმსჯელა ბრალდებულების -- -- და -- -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის მიზანშეწონილობის შესახებ, რის შედეგადაც, ბრალდებული -- -- კვლავ დატოვა პატიმრობაში, ხოლო -- -- მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმდა და მის მიმართ გამოყენებულ იქნა გირაო -- ლარის ოდენობით.

2020 წლის 20 ივლისს სასამართლო სხდომაზე, მოსამართლე -- -- იმსჯელა ბრალდებულების -- -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის მიზანშეწონილობის შესახებ, რის შედეგადაც, სასამართლომ გააუქმა ბრალდებული -- -- მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა და მის მიმართ გამოყენებულ იქნა გირაო -- ლარის ოდენობით.

სისხლის სამართლის საქმეზე მოსამართლე -- -- მიერ სასამართლო სხდომები ჩატარდა: 2020 წლის 7 მაისს; 2020 წლის 13 მაისს; 2020 წლის 15 მაისს; 2020 წლის 19 მაისს; 2020 წლის 25 მაისს; 2020 წლის 3 ივნისს; 2020 წლის 5 ივნისს; 2020 წლის 10 ივნისს; 2020 წლის 15 ივნისს; 2020 წლის 24 ივნისს; 2020 წლის 26 ივნისს; 2020 წლის 30 ივნისს; 2020 წლის 6 ივლისს; 2020 წლის 13 ივლისს; 2020 წლის 16 ივლისს; 2020 წლის 20 ივლისს; 2020 წლის 27 ივლისს; 2020 წლის 7 აგვისტო; 2020 წლის 21 სექტემბერს; 2020 წლის 28 სექტემბერს; 2020 წლის 6 ოქტომბერს; 2020 წლის 20 ნოემბერს; 2020 წლის 8 დეკემბერს; 2020 წლის 24 დეკემბერს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 12 თებერვლის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 21 დეკემბრის №147 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის ვ.ა) ქ/პუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამ ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო.

საპროცესო ვადების დაცულობის სრულფასოვნად შეფასების კუთხით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა როგორც საპროცესო კანონმდებლობასა და სხვა შიდა სამართლებრივ აქტებს, ასევე საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საპროცესო ვადები მნიშვნელოვან ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება[1]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დამატებით ხაზს უსვამს კანონმდებლის ვალდებულებას საპროცესო ვადები განსაზღვროს იმგვარად, რომ სწრაფი და დროული მართლმსაჯულების ინტერესთან ერთად, უზრუნველყოფილი იყოს საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. საქმის გონივრულ ვადაში გადაწყვეტასთან ერთად მართლმსაჯულების სათანადო განხორციელების ინტერესის უზრუნველყოფის ვალდებულებას ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში მსჯელობისას.

აღნიშნული ინტერესების გათვალისწინებით, კანონმდებლობა სხვადასხვა ტიპის სამართალწარმოებისთვის და სხვადასხვა ინტერესის დასაცავად განსხვავებულ ვადებს ითვალისწინებს და რა უნდა ჩაითვალოს აღნიშნული ვადის არსებით დარღვევად თავად შესაბამისი საპროცესო ვადის და ამ ვადით დაცული ინტერესის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების

შეფარდებისთვის დადგენილი ვადის არსებით დარღვევად დროის რამდენიმე საათიანი გადაცილება ჩაითვლება, როდესაც საქმის არსებითი განხილვისა და გადაწყვეტისთვის დადგენილი ვადის რამდენიმე თვიანი გადაცილებაც შეიძლება არ იყოს არსებითი. არსებითად უნდა ჩაითვალოს საპროცესო ვადის იმგვარი დარღვევა, რომელიც საფრთხეს უქმნის აღნიშნული ვადით დაცულ სამართლებრივ ინტერესს. შესაბამისად, დარღვევის „არსებითი" ხასიათის დასადგენად, მნიშვნელოვანია, შეფასდეს საპროცესო კანონმდებლობის გადაცილების ხანგრძლივობა და შესაბამისი სამართალწარმოებით დაცული ინტერესი.

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აღიარებულია, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება. დანაწესი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული (*Wemhoff v Germany*, § 18; *Kart v. Turkey*[GC], § 68). ამდენად, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება უპირველესყოვლისა უზრუნველყოფილია ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე.

კონვენციის განმარტების ფარგლებში დადგენილი პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა განისაზღვრება შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით: 1) საქმის სირთულით, როგორც საქმის ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი კუთხით (Katte Klitsche de la Grande v. Italy; Papachelas v. Greece); მტკიცებულებების გამოკვლევის მოცულობით (Human v. Poland) და ა.შ. 2) მხარეთა მოქმედებებით, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (König v. Germany), შუამდგომლობებით, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France), ასევე სხვა მოქმედებებით, რაც იწვევს საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებებით. აღნიშნულს ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა/ჩაუტარებ-ლობის მიმართებით (Pafitis and others v. Greece; Tiece v. San Marino; Sürmeli v. Germany).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany; §98).

მოცემულ საქმეზე, საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ სასამართლომ ხელოვნურად გააჭიანურა საქმის განხილვა, რაც მიზნად ისახავდა ბრალდებულის პატიმრობიდან გათავისუფლებას, პატიმრობის საერთო ვადის ამოწურვის მოტივით.

აღნიშნულთან მიმართებაში, უნდა განიმარტოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს გამოძიების ეტაპზე, განაჩენის გამოტანამდე, ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის მაქსიმალურ ვადას. იგი არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. მისი შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად, პატიმრობა წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთ სახეს, ხოლო ამავე კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს კონსტიტუციურ ნორმას და განსაზღვრავს, რომ პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ამასთან, ბრალდებულის პატიმრობის ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა, ამ აღკვეთის ღონისძიების შესახებ სასამართლო განჩინების აღსრულების მომენტიდან საქმის არსებითად განხილვის

მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, კანონმდებელი განსაზღვრას საქმის განხლივის საერთო ვადას, სადაც აღნიშნულია რომ: „პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითად განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა.“

ამავე კოდექსის 333-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის ამოქმედების მომენტისათვის სასამართლოში განსახილველად არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენი გამოაქვს იმავე ნაწილის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 36 თვისა, ხოლო ამავე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილები ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით, მოსამართლეს სისხლის სამართლის საქმე გადაეცა 2020 წლის 6 მაისს, შესაბამისად, საქმის შესწავლის დროისთვის, საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული 24 თვიანი ვადა დაცულია.

გარდა ამისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულთა პატიმრობაში ყოფნის პერიოდში სასამართლოს მიერ ჩატარებული სხდომების რაოდენობასა და მათ შორის დროის მცირე ხანგრძლივობების მიმართ.

კერძოდ, სასამართლო სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე -- -- მას შემდეგ რაც არსებითად განსახილველად გადაეცა სისხლის სამართლის საქმე, მაისის თვეში ჩაატარა - 5 სასამართლო სხდომა, ივნისის თვეში ჩაატარა - 7 სასამართლო სხდომა, ივლისის თვეში ჩაატარა 5 სასამართლო სხდომა, ხოლო საერთო ჯამში საქმის არსებითი განხილვის ფარგლებში მოსამართლემ 2020 წლის 6 მაისიდან - 2020 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით ჩაატარა 23 სასამართლო სხდომა (საჩივრის შესწავლის დროისთვის), რაც თვეში საშუალოდ 3 სასამართლო სხდომის მაჩვენებელია.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეფასებით, მოსამართლე -- -- ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ

(მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №147/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი